

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. სამიზნე ჯგუფი

პროგრამის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან და მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში სულ მცირე 2 წელი გაატარეს. პროგრამა განკუთვნილია 18-24 წლის ახალგაზრდებისათვის.

მუხლი 2. ამოცანები

პროგრამის ამოცანაა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარება.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

1. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქ რუსთავის მცხოვრები რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას ფინანსურ დახმარებას წელიწადში არაუმეტეს 1200,00 (ერთი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

2. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დადასტურდება პროგრამის ბენეფიციარის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნა. (სახელმწიფო ზრუნვის ფორმის, დაწყების და დამთავრების თარიღის მითითებით);

გ) სახელმწიფო სოციალური მუშაკის ან/და "ასოციაცია ჩვენი სახლის საქართველოს" ფსიქოლოგის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი, სადაც აღწერილი იქნება ბენეფიციარის საჭიროებები და მიღებული თანხის ხარჯვის მიზნობრიობა;

დ) ბენეფიციარის სამოტივაციო წერილი, რომელშიც აღწერილი იქნება ის კონკრეტული საჭიროება, რისთვისაც იქნება გამოყენებული მოთხოვნილი დახმარება;

3. ბენეფიციარების განცხადებებს განიხილავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით შექმნილი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფი და გადაწყვეტილებას იღებს პროგრამით დადგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად.

4. ფინანსური ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დაფინანსების წყაროს შეადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 6000,00 (ექვსი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარით, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

| | |
|--------------|---------------|
| ბიუჯეტი | 6 000,00 ლარი |
| I კვარტალი | 2 000,00 ლარი |
| II კვარტალი | 1 500,00 ლარი |
| III კვარტალი | 1 500,00 ლარი |
| IV კვარტალი | 1 000,00 ლარი |

მუხლი 5. პროგრამის შედეგი

პროგრამის ბენეფიციარების ხელშეწყობა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. მათი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის მუფრო მაღალი ხარისხი.

მუხლი 6 პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამის მოქმედების ვადა შეადგენს 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. პროგრამის განმახორციელებელი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური

წინო ქცირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი